აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №08/2004

29 მაისი 2004წ. ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წევრობის კანდიდატის (პროპორციული არჩევნები) მოწმობის ფორმა (ფორმა №6-4.01.01.);
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის (მაჟორიტარული არჩევნები) მოწმობის ფორმა (ფორმა №6-02.01);
3. აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 20 ივნისის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/ბლოკის პარტიული სიის ფორმა (ფორმა №8-6.01.01);
4. ამომრჩეველთა სიის დანართის (გადასატანი საარჩევნო ყუთის სია) ფორმა (ფორმა №4-1.04.01.);
5. ამომრჩეველთა ერთიანი სიის კენჭისყრის დღეს დაზუსტების რეესტრის ფორმა (ფორმა №4-1.05.01);
6. ამომრჩეველთა ნაბეჭდი სიის შესწორებათა აღრიცხვის რეესტრის ფორმა (ფორმა №4-1.06.01);
7. ამომრჩეველთა სპეციალური სიის ფორმა (ფორმა № 4-1.07.01.).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის 5) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე	ირაკლი ფაღავა
კომისიის მდივანი	გიზო მჭედლიძე